სს ფინური საერთაშორისო სკოლა

2023 წლის კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

# სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალის ანგარიშგება 4

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 5

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 6

## სს ფინური საერთაშორისო სკოლა
## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.08.2023-ს თარიღისთვის

| | შენიშვნა | 2023 | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|---|
| | | ლარი | ლარი | ლარი |
| **აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 3 | 1,330,364 | 1,344,091 | 2,829,326 |
| არამატერიალური აქტივები | 4 | 173,474 | 231,457 | 153,172 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 5 | 16,792,694 | 17,187,750 | 16,306,209 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **18,296,532** | **18,763,297** | **19,288,707** |
| | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 6 | 3,101,516 | 5,174,709 | 871,156 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | | 22 | 32,276 | 7,408 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **3,101,538** | **5,206,984** | **878,564** |
| | | | | |
| **სულ აქტივები** | | **21,398,069** | **23,970,282** | **20,167,271** |
| | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 7 | 1,726,300 | 1,204,629 | 1,432,444 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **1,726,300** | **1,204,629** | **1,432,444** |
| | | | | |
| გრძელვადიანი ნასესხები თანხები | | 1,161,185 | 1,188,724 | - |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **1,161,185** | **1,188,724.24** | **-** |
| | | | | |
| **სულ ვალდებულებები** | | **2,887,485** | **2,393,353** | **1,432,444** |
| | | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 21,253,000 | 21,253,000 | 21,253,000 |
| გადაფასების რეზერვი | | 1,763,391 | 1,763,391 | - |
| გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) | | (4,505,807) | (1,439,463) | (2,518,173) |
| **სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი** | | **18,510,584** | **21,576,928** | **18,734,827** |
| *არამაკონტროლებელი წილი* | | 670,176 | 676,285 | 1,367,258 |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **21,398,069** | **23,970,282** | **20,167,271** |

სს ფინური საერთაშორისო სკოლა
დირექტორი: აიეტი კუკავა _____

## სს ფინური საერთაშორისო სკოლა

## კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.09.2022-31.08.2023 პერიოდისთვის

| | შენიშვნა | 2023 | 2022 |
|---|---|---|---|
| | | ლარი | ლარი |
| ამონაგები | 8 | 1,806,967 | 1,198,416 |
| ამონაგების თვითღირებულება | | - | - |
| **საერთო მოგება** | | **1,806,967** | **1,198,416** |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 9 | (1,994,248) | (1,301,971) |
| ფინანსური ხარჯი | | (64,907) | (135,032) |
| არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი | 10 | (2,814,157) | 1,317,298 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(3,066,345)** | **1,078,711** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წმინდა მოგება/ზარალი** | | **(3,066,345)** | **1,078,711** |
| **მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:** | | | |
| *მშობელი საწარმოს მფლობელთათვის* | | (3,066,345) | 1,078,711 |
| *არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის* | | - | - |
| **მოგება/ზარალი** | | **(3,066,345)** | **1,078,711** |

სს ფინური საერთაშორისო სკოლა
დირექტორი: აიეტი კუკავა

## სს ფინური საერთაშორისო სკოლა

## კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.09.2022-31.08.2023 პერიოდისთვის

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი | არამაკონტროლებელი წილი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| **ნაშთი - 31.08.2021** | **21,253,000** | **(2,518,173)** | **17,538,933** | **1,195,893** | **18,734,827** |
| | | | | | |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | - | - | - | - | - |
| გაცემული დივიდენდები | - | - | - | - | - |
| პერიოდის მოგება | - | 1,065,700 | 1,065,700 | 13,011 | 1,078,711 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | - | 1,763,391 | 1,763,391 | - | 1,763,391 |
| **ნაშთი - 31.08.2022** | **21,253,000** | **(1,452,474)** | **19,800,526** | **-** | **21,576,928** |
| | | | | | |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | - | - | - | - | - |
| გაცემული დივიდენდები | - | - | - | - | - |
| პერიოდის მოგება | - | (3,060,235) | (3,060,235) | (6,109) | (3,066,345) |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | - | - | - | - | - |
| **ნაშთი - 31.08.2023** | **21,253,000** | **(4,512,709)** | **16,740,291** | **(6,109)** | **18,510,584** |

სს ფინური საერთაშორისო სკოლა
დირექტორი: აიეტი კუკავა _____

## სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 აგვისტოს დასრულებული პერიოდისათვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს ფინური საერთაშორისო სკოლა სააქციო საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/04/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურებას.

კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი (ს/კ 404511186)

დირექტორი აიეტი კუკავა (პ/ნ 62001020248)

სს ფინური საერთაშორისო სკოლა-მ 2021 წლის 7 ივლისს შეიძინა შპს ფინური ტრენინგის ცენტრების მართვის კომპანიის 100%-იანი წილი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამხმარე საგანმანათლებლო მომსახურებების გაწევა. 2021 წლის 6 ოქტომბერს გაყიდა 49% წილი შპს ჯეო დექს ჰოლდინგზე.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საანგარიშგებო წელი არ ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს პერიოდს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:**

*საანგარიშგებო ვალუტა*

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

*უცხოური ვალუტა*

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

| | 31 აგვისტო 2023 | 31 აგვისტო 2022 |
|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი / ლარი | 2.8621 | 2.9045 |
| 1 ევრო | 2.6292 | 2.9126 |

*ამონაგების აღიარება*

ამონაგები აღიარდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

*ფინანსური შემოსავალი და ხარჯები*

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

*იჯარა*

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

*მოგების გადასახადი*

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილებადა დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და

ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

*სასაქონლო-მატერიალური მარაგები*

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც აღიარდება შესაბამისი რეალიზაცია. მარაგების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება პერიოდული აღრიცხვის მეთოდი.

*ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები*

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

*ცვეთა*

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით და აისახება მოგება-ზარალში. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 20%
- შენობა-ნაგებობები - 2%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

*ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები*

კომპანიის ფული და ფულის ექვივალეტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე

*მოკლევადიანი მოთხოვნები*

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

*ავანსები*

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კოტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება , ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

*თანამშრომლების სარგებელი*

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

## 3. ძირითადი საშუალებები

| | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ბიბლიოთეკის ინვენტარი | მიწის ნაკვეთი | შენობა-ნაგებობები |
|---|---|---|---|---|
| **პერიოდი 01/09/2021** | **55,299** | **13,704** | **1,564,400** | **1,195,923** |
| შემოსვლა | 69,241 | 9,208 | 65,234 | - |
| ცვეთა | (26,432) | (5,028) | - | (33,057.53) |
| ჩამოწერა | - | - | (1,564,400) | - |
| **პერიოდი 31/08/2022** | **98,108** | **17,884** | **65,234** | **1,162,866** |
| **პერიოდი 01/09/2022** | **98,108** | **17,884** | **65,234** | **1,162,866** |
| შემოსვლა | 28,870 | 10,275 | - | - |
| ცვეთა | (35,450) | (7,267) | - | (10,156) |
| ჩამოწერა | - | - | - | - |
| **პერიოდი 31/08/2023** | **91,528** | **20,892** | **65,234** | **1,152,710** |

## 4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი მოიცავს კომპანიის ბალანსზე არსებულ ავტორიზაციის ლიცენზიას და სასკოლო პროგრამას

| | ავტორიზაცია | სკოლის პროგრამა |
|---|---|---|
| **პერიოდი 01/09/2022** | **5,854** | **225,603** |
| შემოსვლა | - | 625 |
| ცვეთა | - | (58,608) |
| ჩამოწერა | - | - |
| **პერიოდი 31/08/2023** | **5,854** | **167,620** |

## 5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

| | **2023** | **2022** | **2021** |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| კაპიტალის გაუნაღდებელი ნაწილი | 15,666,269 | 16,081,681 | 15,967,880 |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოში | 1,126,425 | 1,106,069 | 338,330 |
| **სულ** | **16,792,694** | **17,187,750** | **16,306,209** |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 2023 | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| სავაჭრო მოთხოვნები | 2,284,248 | 2,463,299 | 16,465 |
| გადახდილი ავანსები | 584,638 | 646,661 | 831,034 |
| გაცემული სესხები | 184,910 | 1,786,311 | - |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 47,720 | 278,438 | 23,657 |
| **სულ** | **3,101,516** | **5,174,709** | **871,156** |

## 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 2023 | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები | 161,175 | 117,329 | 142,352 |
| მიღებული ავანსები | 1,043,008 | 855,072 | 426,649 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 204,573 | 73,938 | 62,096 |
| მოკლევადიანი ნასესხები თანხები | 150,416 | 96,164 | 777,620 |
| სხვა ვალდებულებები | 167,127 | 62,126 | 23,727 |
| **სულ** | **1,726,300** | **1,204,629** | **1,432,444** |

## 8. ამონაგები

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| შემოსავალი სარეგისტრაციო მომსახურებიდან | 24,091 | 44,754 |
| შემოსავალი საგანმანათლებლო მომსახურებიდან | 1,782,876 | 1,153,662 |
| **სულ** | **1,806,967** | **1,198,416** |

## 9. ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2023<br>ლარი | 2022<br>ლარი |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | (1,444,891) | (909,927) |
| საკონსულტაციო მომსახურება | (748) | (466) |
| მცირეფასიანი ინვენტარი | (29,680) | (14,959) |
| ბანკის საკომისიო | (2,401) | (6,362) |
| საიჯარო ქირა | (60,913) | (18,825) |
| კომუნალური მომსახურება | (26,461) | (12,600) |
| საკანცელარიო ხარჯი | (14,242) | (16,830) |
| მივლინების ხარჯი | (14,226) | (1,206) |
| ინტერნეტისა და ჰოსტინგური მომსახურება | (5,532) | (2,482) |
| საბუღალტრო მომსახურება | (24,662) | (20,036) |
| მცირეფასიანი სასწავლო ლიტერატურა | (1,831) | (8,831) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (111,481) | (112,634) |
| მარკეტინგული მომსახურება | (2,820) | (2,960) |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | (7,608) | (9,983) |
| პროფესიული ტრენინგის/სწავლების ხარჯი | (133,452) | (42,857) |
| საგადასახადო ხარჯი | (15,560) | (8,087) |
| კვების ხარჯი | (64,875) | (42,136) |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | (32,864) | (70,790) |
| **სულ** | **(1,994,248)** | **(1,301,971)** |

## 10. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

| | 2023<br>ლარი | 2022<br>ლარი |
|---|---|---|
| საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი/ხარჯი | (199,895) | 166,178 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი | (2,614,262) | 1,151,120 |
| **სულ** | **(2,814,157)** | **1,317,298** |

## 11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია

## 12. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 30 მაისს.

სს ფინური საერთაშორისო სკოლა
დირექტორი: აიეტი კუკავა _____